ენდოგენური ინტოკსიკაციის სინდრომის შესწავლა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლში

მომხსენებელი: უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის გამგე, ბ.მ.დ. სრული პროფესორი ნანა კოტრიკაძე

თანაავტორები: უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათდრის მოწვეული პროფესორები: ბ.დ. მაია ზიბზიბაძე; ბ.დ. მანანა ალიბეგაშვილი; ლაბორანტი/დოქტორანტი ლიანა რამიშვილი; მაგისტრი ირინა ბეჟუაშვილი

ელ-ფოსტა: nanuli.kotrikadze@tsu.ge

ᵃბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

უნივერსიტეტის ქ.13

ენდოგენური ინტოკსიკაციის სინდრომი (ეის) გულისხმობს ქსოვილებსა და ბიოლოგიურ სითხეებში ენდოგენური წარმოშობის ტოქსინების დაგროვებას. დაავადების სიმძიმე, მისი მდგომარეობის პროგნოზი და თერაპიული მიდგომების სრული კომპლექსი შეუძლებელია განისაზღვროს დაავადების თანმდევი ენდოგენური ინტოქსიკაციის სინდრომის შეფასების გარეშე. სიმსივნური ინტოქსიკაცია აღნიშნული სინდრომის ერთ–ერთი კერძო გამოვლინებაა.

ეის–ის კვლევის აქტუალობას განაპირობებს პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნეების დიფერენცირების შესაძლებლობა, ასევე დაავადების მიმდინარეობის პროგნოზირება ოპერაციამდელი და ოპერაციის შემდგომი პერიოდების შედარების თვალსაზრისით, მეთოდის გამოყენების პერსპექტივა სკრინინგის მიზნით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ენდოგენური ინტოქსიკაციის სინდრომის შესწავლა პროსტატის სიმსივნეებით (პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე, (პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე PING$_{(3-4)}$ უბნებით, პროსტატის ადენოკარცინომა) დაავადებული მამაკაცების სისხლში რიგი კრიტერიუმების შესწავლის გზით.

გამოკვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ პროსტატის სიმსივნეების შემთხვევაში ადგილი აქვს ეის–ის ფორმირებას, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერად PING$_{(3-4)}$ უბნებიანი კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით დაავადებულ პაციენტებში გამოვლინდა. აღნიშნული ფაქტი დაავადების აგრესიულობასა და არაკეთილსაიმედო პროგნოზზე მიუთითებს.